შაბათი 1919 წ. მაისის 31 № 110
ყოველდღიური გაზეთი

შაბათი 1919 წ. მაისის 31 № 110
ფ ა ს ი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. ფსევდონიმით გამოგზავნილი მასალა უფასოდ არ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქტორი იღებს დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანმოკლე განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ყურადღება!..

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

კონიაკი და კახური ღვინო ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვეზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—3)

მომღერალთა საყურადღებოთ!

ქართ. სამუსიკო საზ-ბამ და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა დაარსა

კაპელა

ხმის გასინჯვა სწარმოებს ყოველ [illegible] ადღ. აქვე პირობების ცნობა ეძლევა, ქართ. სამუსიკო სკოლა, სლეპცოვის ქ. № 4.

(3—90—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნატალია, შვილებით, ვარო მარუსია, ირაკლი შალიკო და რუსუდანი, სიდედრი დარია, ცოლის ძმები, ნიკოლოზი, დათიკო, დიმიტრი და ვანო ცისკარაშვილები, დისწულები: გიორგი და მართა, სიძე ალექსანდრე თათარაშვილი, დისწულის მეუღლე ალექსანდრა დავითაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ დაუვიწყარის

დიმიტრი ზაქარიას ძე ჩარკვიანის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს დილის 10 საათ, 31 მაისს წმ. ნინოს ეკლესიაში სასაფლაოზე. 2404 2—2

29 მაისს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა თბილისში

ალექსანდრე მიხეილის ძე ცაგარეიშვილი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გულდათუთქული დედა ივლიტა, დაი ლუბა, ძმები მიხეილ და შალვა, ბებიები ანნა ცაგერეიშვილისა და ირინე მოსეშვილისა, ბიძები ბართლომე, ვარლამ და იასონ მოსეშვილები ოჯახობით.

მიცვალებულს მოასვენებენ ქუთაისში შაბათს, 31 მაისს დილით და წაასვენებენ დასაკრძალავათ ს. გუბში.

(1—2408—1)

ილია მანუჩაძის ძე ძე ჩიქოვანი და ელისაბედ გიორგის ასული ჩიქოვანისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 ივნისს, ქუთაისის პეტრეპავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველის უსაყვარლესის მეუღლის და მეგობრის და მეორის ერთად ერთი სასოება შვილის

ელენე ნიკოლოზის ასულის ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 ს. 1—2407—1

კვირას, 1 ივნის ქ. ქუთაისში, მთავარანგელოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე

დავით ალექსანდრეს ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი ელისაბედი ირაკლის ასული მიქელაძისა შვილებითურთ. 1—2401—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო (ბურდლა), რძალი ვერა (კუკუ), შვილები—კონსტანტინე (კოკო), მიშა, აპოლონ და ასული დომინიკა (ფაჩუ) თვალთვაძისა, სიძე პროკოფი თვალთვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მოყვარეთ, რომ სოფ. ტალერში (სალხინო, სენაკის მაზრა) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 12 მაისს გარდაიცვალა

კოსტა ივანეს ძე კეშელავა

დაკრძალვა დანიშნულია მაისის 21-ს ძველი სტილით დღით სამშაბათს, ადგილობრივ ეკლესიის გალავანში.

(2—2406—1)

ქართული კლუბი

კვირას, ივნისის 1-ს, ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება საინტერესო იგავი

მზის საიდუმლო

1. მოქმ. ჰეიერისა. აგრეთვე იქნება წარმოდგენილი სამი მინიატურა „მზის საიდუმლოში". მხევლის როლს შეასრულებს ბარონესა კლეისტ-მირიმანოვისა სპეციალური ცეკვით ბოლოს ელო ანდრონიკაშვილის საუკეთესო მოწაფენი შეასრულებენ

ლეკურს

მონაწილეობენ: ქ-ნი ნინო დავითაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, აბაზაძე, ბ-ნი ვალ. გუნია, პლატ. კორიშელი, დ. ჩხეიძე, აბდუშელი, თარალაშვილი, ჯიქია და სხვა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ✦ ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასაში. 2—91—1

კავკასიის ქართველების

პირველი სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის დამფუძნებელი კომიტეტი

აქციების მეპატრონეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თანახმად ამა წლის მარტის 30-ის (ძველი სტილით) საერთო კრების დადგენილებისა აქციების პატრონებმა დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ აქციების ღირებულების მეორე ნაწილი არა უგვიანეს 1918 წლ. მაისის 31-ისა (ძველი სტილით). ფული უნდა შეიტანონ თბილისში, ამიერ კავკასიის ბანკში; ანგარ. № 995. რადგანაც ძირითადი თანხა ძლიერდება 1.500 000 მანეთამდე, ამისათვის დამატებითი აქციები გაიყიდება კიდევ 300.000 მანეთისა ძველ აქციების მქონეთ შეუძლიათ შეიძინონ არა უმეტეს ორი აქციისა უკეთუ ფულს არ შემოიტანენ აღნიშნულ ვადისათვის აქციები ახალ მსურველებზე გაიყიდება.

(4 2395—2) დამფუძნებელი კომიტეტი.

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის გამგეობა

აცხადებს, რომ რადგან 25 მაისს 1919 წ. კავშირის წევრთა საზოგადო კრება არ შესდგა,

მეორე კრება

დანიშნულია ამა წლის 1 ივნისს დილის 10 საათზე კავშირის ბინაზე (ფრეილინის ქ., № 11), რომელიც, თანახმად წესდების მე-18 მუხ. კანონიერად ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

განსახილველი საგნები: 1) ანგარიში საბჭოსი და გამგეობის მოქმედებისა და კავშირის შემოსავალ-გასავლისა.
2) საკითხი შესახებ კავშირის არსებობისა.
3) სარევიზიო კომისიის არჩევა.

3—87—3

საქარ. სატრანსპორტო საზოგადოება

აცხადებს, რომ 1919 წ. 6 ივნისს, პარასკევს, საღამოს 6 საათზე, ყოფილ სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქუჩა № 11) დანიშნულია.

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციონერთა

საზოგადო კრება

განსახილველი:

1. გამგეობის მოხსენება შესახებ საქმის მდგომარეობისა;
2. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა;
3. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების წინადადება შესახებ საბჭოს დაარსებისა და შესაფერი ცვლილების შეტანისა საზოგადოების წესდებაში;
4. გამგეობის 3 წევრისა და მათი 3 კანდიდატის არჩევა;
5. სარევიზიო კომისიის 6 წევრისა და მათი 6 კანდიდატის არჩევა.

უკეთუ ეს კრება არ შესდგა აქციონერთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, შემდეგი კრება ინიშნება იმავე ბინაზე 1919 წ. 7 ივნისს საღამოს 6 საათზე. ეს უკანასკნელი კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც უნდა დაესწროს მას (წესდ. § 71). 3—77—3

სახელმწიფო თეატრი

დღეს, 31 მაისს, მ ალეშკოს საბენიფისოდ წარმოდგენილი იქნება

ჰუგენოტები

## სამშობლოს დაცვისათვის

რუსეთის საფრთხემ კვლავ თავი იჩინა! ამ სახელმწიფოს გაერთიანებისა და განდიდების იდეა ითავა, როგორც მოსალოდნელი იყო, იმ ელემენტმა, რომელიც არსებითად ვერ შეიგუა მცირე ერების უფლებათა განმტკიცებას, ვერ შეურიგდა ძალმომრეობასა და უსამართლობაზე დამყარებულ იმპერიის დაშლა-დანაწილებას და მაქსიმალური ენერგიით შეუდგა „მთლიან და დიდ რუსეთის" აღდგენას 1914 წლის წინად არსებულ საზღვრებში.

ეგრედ წოდებულ, მოხალისეთა არმიამ, სადაც თავმოყრილ არიან რუსის ხალხის ყველაზე უფრო რეაქციონური და იმპერიალისტური ნაწილები, საიმპერატორო რუსეთის რესტავრაცია სამხრეთით მოიწადინა და პირველი ლახვარი ამიერკავკასიის თავისუფალ სახელმწიფოებს განუმზადა.

შიგ, რუსეთში ბოლშევიკურ წითელ გვარდიელებისაგან შემუსვრილი შავრაზმულ ოფიცერთა ლაშქარი კავკასიონის ქედს მოადგა და გამწარებული საქართველოს საზღვრებში ლამობდა წამხდარ საქმის გამოკეთებას; მაგრამ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებისაგან დენიკინის ავანტიურისტებმა საგრძნობი გაკვეთილი მიიღეს და იძულებული გახდნენ სამხედრო ბედი სხვა მიმართულებით ეძიათ...

მთიელთა სუსტი რესპუბლიკა მოხალისე ბრბოების ალვირახსნილ სათარეშოდ შეიქმნა: რამდენიმე თვეა მამაცი და თავისუფლების მოყვარული მთის ხალხი უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა კალიასებურ მოწოლილ მოხალისეთა წინააღმდეგ! საზლაპრო გმირობით იცავდნენ მთის არწივნი მამა-პაპათა სამკვიდრებელს, მაგრამ ბოლოს ურიცხვო მტერს მიუვალ მთის კალთებში უნდა ამოეჭყვარებოლდა... ბარი დაიპყრო მტერმა!

ხმა დავარდა, მოხალისეთა ჯარი მძაფრ ღვარივით ბაქოსკენ მოექანება და აზერბაიჯანს წალეკას უქადისო.

ამ ამბავს საქართველოს საზოგადოება გულგრილად ვერ მიიღებს: დასამალავი არ არის ის გარემოება, რომ მოხალისეთა არმიის თავდაპირველ მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა შეადგენს. ადვილი შესაძლებელია, რომ დენიკინის ჯართან ორ ფრონტზე მოგვიხდეს შეპირისპირება, უკეთუ თავგასულ გენერლის სამხედრო ენერგია ნავთის ქალაქში არ ამოიწურა.

დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულს საქართველოს მოქალაქეთ ისევ-ის დიდმპყრობელ იმპერიის შავი ლანდი უწამლავს. საქართველოს ხალხი სრულის შეგნებით ითვალისწინებს შექმნილ მდგომარეობის სიროთულეს და, გვჯერა, სულ მალე ცხად ჰყოფს ყველასთვის, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას ის არ კი უქმობს მხოლოდ... სამშობლოს დამოუკიდებლობას ქართველი ერი დაიცავს და შეინარჩუნებს ყოველივე საშუალებით! წინაპართა აჩრდილნი საომარ გზას გაუჩირაღდნებენ საქართველოს ერთგულ დარაჯთ და წარსულ საგმირო საქმეთა მოგონებით აღაფრთოვანებენ მათ...

თუ როდისმე საჭირო იყო ხალხის გულში პატრიოტულ გრძნობის გაღვივება, ეს მით უმეტეს აუცილებელია ამ ხანად, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე მოელის ყველაზე გაუტანელ და ვერაგ მტრისაგან. დღეს მთელი ქართველობა შეპყრობილი უნდა იყოს ერთის აზრით, რათა სიძლიერე მტრისა მოიღუნოს მთლიანი ერის საბოლოო გარდაწყვეტილების წინაშე!

ლასაშვებია ისეთი სტრიქონების გამოქვეყნება, როგორც ეს „ერთობა"-მ

# უკანასკნელი ცნობები

თბილისში გავრცელებული ხმები ბაქოსა და ბალაჯარის აღების შესახებ არ გამართლდა.

ფოთში მოვიდა საფრანგეთის გემი დიდძალ მანუფაქტურით, სამაგიეროდ საქართველოდან გაიტანენ ბამბას, აბრეშუმს და მატყლს.

ჰანოვერში გერმანულ პარტიის მიტინგზე ჰანოვერის დამოუკიდებლობა მოითხოვეს.

სამხრეთ-აფრიკამ საკუთარი ფულის ჭრის ნება მიიღო.

ივნისის 30-ს გერმანიაში პროფესიონალურ კავშირების ყრილობა დაიწყება.

საბჭოთა ჯარი პსკოვის იუზოვკისა და დონეცის მიმართულებით დახევას განაგრძობს.

ჩაიდინა 117 №-ის მეთაურში? რა მიზნის მიღწევა უნდა **„საქართველოს** სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ მომიტეტის ორგანოს", როდესაც ამჟღავნებს შემდეგ „სიბრძნეს": „.. ჩვენ არ ვიყავით დამოუკიდებლობის მოტრფიალე. არც ვფიქრობდით მის ძიძობას. არც ვისახავდით იდეალად დიდი ქვეყნიდან პატარის გამოჭრას... დღესაც ჩვენთვის დამოუკიდებლობა ფეტიში არ არის, არც ღვთაება, რომელსაც უნდა თაყვანისცემით ვეგებებოდეთ"...

სამი დღის წინად ქართველობამ უმაგალითო მანიფესტაციით ეროვნულ თავისუფლების იდეას ღვთაებრივი თაყვანისცემა მიუძღვნა და „ერთობის" მეთაურის ავტორიც, ალბად, სადღესასწაულო ზეიმის მონაწილე, თუ მოწმე მაინც იქნებოდა! საზოგადოებაში „დამოუკიდებლობის საზეიმო განწყობილება ისევ დიდია", დღესაც ისევ „წლისთავით" ხარობს თავისუფალი საქართველო და ამ სულიერ უდიდეს აღზნების ჟამს „ერთობა" თავხედურად ამჟღავნებს, რომ დამოუკიდებლობის „ძიძობა" მის დანიშნულებას არ შეადგენდა მაინცდა მაინც. „დიდ სახელმწიფოს" მფარველობაში დარჩენა სოციალ-დემოკრატების იდეალს რომ შეადგენდა, ეს დღეს საიდუმლოებას არ შეადგენს, მაგრამ ახალი „დასაბუთება" ამ დაგვიანებული ნატვრისა პირდაპირი ნიმუშია „ერთობელების" აზროვნების სპეციფიური მიმართულებისა: „ერთობის" აზრით, „დიდი ქვეყნიდან პატარის ჩამოჭრა" დემოკრატიის სასარგებლოდ არ უნდა ჩაითვალოს, ამიტომ „სოციალ-დემოკრატია ერთი წუთითაც არ დაიხევს უკან", უკეთუ საქართველო შევა „სხვა უფრო ფართო ერთეულში, უფრო დიდ სახელმწიფოებრივ ფარგალში"... ამაზე „უკეთეს" სიურპრიზს ვინღა მისთავაზებდა საქართველოს დემოკრატიას ეროვნულ განთავისუფლების ერთი წლის თავზე?!

შვეიცარიის, ბელგიის, ჰოლანდიის, დანიის და სხვა მრავალ უმცირეს სახელმწიფო ერთეულების ცხადი მაგალითი სოციალ-დემოკრატებისათვის საკმარისი არ ყოფილა! ისინი მაინც ჰფიქრობენ, რომ ქართველი დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს ისევე „დიდ სახელმწიფოში" გათქვეფას... და ისიც რუსეთში!!! წარმოგიდგენიათ, როგორის შურისძიებითა და სიანჩხლით შემოიჭრება რუსეთი—სულ ერთია დემოკრატიული, თუ თვითმპყრობელი—„მოღალატე" საქართველოს საზღვრებში?! ჯერ ეხლაც შორიდან ისმის ზღვად მომავალ რუსის ჯარის დაუფარავი განზრახვა! ვიცით, რა თავზარი დაატყდება ქართველ ხალხს, უკეთუ განგებამ ინება რუსეთის განმეორებითი შემოსვლა ჩვენს მიწა-წყალზე...

პირიქით, მთელი აზრი და გონება საქართველოს ხალხისა, მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი საშუალებანი უნდა მოხმარებულ იქმნეს საქართველოს ხელუხლებლობისა და დაცვისათვის და უწინარეს ყოვლისა სასტიკი ზომებით უნდა სათავეშივე მოიღუნოს ისტორიული მჩაგვრელის პრეტენზიები!

საქართველოს იზოლაციის მომხრე ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ: მჭიდრო და განუწყვეტელი ურთიერთობა და კავშირი კულტურულ სახელმწიფოებთან საქართველოს გააძლიერებს და ააყვავებს. ხოლო განათლებულ კაცობრიობის ოჯახში საქართველო ნებაყოფლობით შევა, როგორც სუვერენულ უფლების მქონე თანაბარი წევრი. ეს მცნება ქართველმა ხალხმა საუკეთესოდ შეითვისა და, ვფიქრობთ, ვერც „ყოვლად შემძლე" სოციალდემოკრატები გადაახვევინებენ მას ამ სწორ გზას.

დამოუკიდებლობა ქართველ ერმა დაიცვა და არც იოლად დასთმობს...

იარაღის ჟღარუნით მოდენილი რუსის მოხალისეთა არმია ვერ შეაფრთხობს საუკუნო ომებში გაკაჟებულ ქართველ ხალხს. თუ გმირობა და მამულისათვის თავდადება ჩვენი მხედრობის ისტორიულად თანდაყოლილ თვისებას შეადგენს, და ამაში ხომ ეჭვი არავის ეპარება, გვჯერა გულის სიღრმემდე, რომ თავხედ მტრებთან შეტაკებაში მისი ბრძოლის უნარი გაათკეცდება.

არ ვიცით, ვინ უგვის გზას სამხრეთით მომავალ რუსეთის შავრაზმელ ბრბოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივი შვენების ჩამბნელებელნი ნებსით თუ უნებლიეთ უადვილებენ „დიდი რუსეთის" მებაირაღტრეთ სვლას".

ყოვლად უგვანო საქციელია! ასეთი „პროპაგანდის" დამღუპველ შედეგების გათვალისწინება არც თუ ისე ძნელია. და ამაზე „ერთი წუთით მაინც" შეფიქრებულან „ერთობის" პოლიტიკოსნი"!?

მდგომარეობა დღით დღე რთულდება. ფოლადასხმული უნდა იდგეს სამშობლოს საზღვრებზე საქართველოს დარ ჯი—ჯარი და ერის ერთსულოვანი ყიჟინი გამარჯვების ემბლემად ევლინებოდეს.

ნუ ინებებთ ხალის სულის შთაქრობას!

## კრეტინიზმის ტყვეობაში

26 მაისის ზეიმმა „ერთობას" რატომღაც განუახლა სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეოლოგიური უარყოფის რომანტიზმი. ძალად ნაცხონევი ფსიხიკა ყოველთვის მზადაა სამუხანათოდ. „ერთობამ" საჭიროდ დაინახა ასეთი მუხანათობა გაეწია დამოუკიდებლობის იდეის შემკვრივებისა და განმტკიცებისათვის, დამოუკიდებლობის წლის თავის გამო, 29 მაისის მოწინავე წერილში. ეს წერილი გვაიძულებს გავიხსენოთ ჩვენი სოციალ-დემოკრატიის წარსული, რომელიც ერთი ბარბაროსული და უკულტურო ბრძოლა დ იყო სამშობლოს იდეისა და სიყვარულის ჩასაკლავათ, ერთი უგუნური იერიში საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების იდეის წინააღმდეგ. ეს უკულტურო რაზმი და ბარბაროსული „იდეოლოგია" გარემოებამ მოსდრიკა, დაამარცხა. საქართველო ამ გარემოებათა მექანიკამ მოჰგლიჯა რუსეთის იმპერიას და დამოუკიდებელ სხეულად შეაგდო ინტერსახელმწიფურ სივრცეში. არავითარი იდეოლოგიური დამსახურება და ბრძოლა არ მიუძღვის ამ აქტში სოციალ დემოკრატიას. ურცხვად; დაუფარავად ყოველ გზა-ჯვარედინზე ამას თვითვე გაიძახის. პარტიულად გაბატონებულს, ხელში დაურჩა სახელმწიფოებრივი ბატონობაც დამოუკიდებელ საქართველოში. აქედან იწყება ორსახეობა, ორხასიათობა, ორჭოფობა ამ სამშობლოს იდეის მოძულე ხალხისა სამშობლოსთვის სამსახურის საქმეში. ბრძოლა თავის წარსულთან მიუღებელ იდეის განსამტკიცებლად! მთელი გასული წლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი გამოაჩენს ამ წუჯექ-უკუჯექობის და მერყეობის სანახაობას. საქართველომ დიდის მსხვერპლით გამოისყიდა ამ ხალხის ეს სენი და ორგულობა სამშობლოს იდეის უზენაესობისადმი! შეიძლება მსხვერპლადვე დასასრულ მათვე გაატანოს თვით დამოუკიდებლობაც. მაგრამ მუდმივ შიშთან ამ ხალხის ლოიალობის შესახებ სამშობლოსადმი, მაინც ნდობასაც უავანსებდით რადგან ჯერ ერთი სხვა გზა არ იყო და მეორეც ამ ხალხის ორჭოფობაში, რაც გინდა იყოს, მოსჩანდა ზოგიერთების სურვილი და ცდა ახალი ღმერთის შეყვარების. არასოდეს ისე საჭირო არ იყო გვეწამა ეს ახალი სიყვარული, როგორც დღეს. არასოდეს ისე საჭირო არ იყო, რომ ამ ზოგიერთებს დაეცათ საყვირი, სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეის უზენაესობის და ყოველი მსხვერპლის მისთვის შეწირვისა, როგორც დღეს! მაგრამ სწორედ დღეს, როდესაც დენიკინი, მთიელეზის დამარცხების შემდეგ, ჩვენსკენ მოიწევს, რომ დაგვამხოს, გაგვანადგუროს კვლავ დაგვიმონოს, სწორედ დღეს გაზეთი „ერთობა", რომელიც სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ე. ი. იმავე ჩვენი დღევანდელი მთავრობის ორგანოა, სამშობლოს სიმტკიცეს არღვევს. მართველი პარტია, მთავრობის ორგანო, ვის ხელთ არის რეალურად საქართველოს პოლიტიკა და ბედი, დეკლარატიულად აღიარებს:

„ჩვენ არ ვიყავით დამოუკიდებლობის მოტრფიალე არც ვფიქრობდით მის ძიძობას. არც ვისახავდით იდეალად დიდი ქვეყნიდან პატარა ქვეყნის გამოჭრას" .. გაზეთი კითხვას აყენებს: „ნუ თუ შეიცვალა ჩვენი აზრიო" თვითვე უპასუხებს: „უნდა გადაჭრით განვაცხადოთ, არა, არ შეცვლილაო"... განაგრძობს .. „დღესაც ჩვენთვის დამოუკიდებლობა ფეტიში არ არის, არც ღვთაება, რომელსაც უნდა თაყვანისცემით ვეგებებოდეთო!"...

ცინიზმი! უგუნურება! პოლიტიკური სიბეცე! თუ .. სოციალ დემოკრატიული სიტლანქე, გრძნობა-გონების უკულტურობა და იდეოლოგიური ბარბაროსობა! ყველაფერი ერთად არის შეზავებული, ყველა ერთად!

მართველი პარტია და მართველი მთავრობა თავის ცენტრალურ ორგანოს პირით საქვეყნოდ გაჰყვირის: „არა, ჩვენი აზრი არ შეცვლილა", ე. ი. როგორც წინად არ ვიყავით, დღესაც არ ვართ დამოუკიდებლობის მოტრფიალე. დღესაც არ ვფიქრობთ მის ძიძობას. დღესაც არ ვისახავთ იდეალათ დიდი ქვეყნიდან პატარა ქვეყნის გამოჭრას. დღესაც დამოუკიდებლობა ჩვენთვის ფეტიში არ არის და სხვა და სხვა!

წინა დღით თვით აწყობს საქვეყნო დღესასწაულს, დამოუკიდებლობის წლის თავს ზეიმობს!!. ცინიზმია თუ გონების დაბნელება და გრძნობის ამტუტება?!

უბადრუკო! თუ სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალე დღესაც არა ხარ, თუ იდეალად იმას არ ისახავ, თუ იგი შენი ფეტიში არ ყოფილა და არც არის, სად გექნება ზნეობრივი ძალა, ხალხს, ერს, სამშობლოს დაუძახო, ქუდზე კაცი გამოიყვანოს და განემზადოს უდიდ[illegible] მსხვერპლის —სიცოცხლის მსხვ[illegible] უზენაესი იმპულსი? [illegible] უწოდებ ქვეყანას, ან რაისთვის უნდა გამოჰყვეს ეს ხალხი და ეს ქვეყანა?!

მართველი პარტიის და მართველი მთავრობის ცენტრალური ორგანო არღვევს ერის მორალურ სიმტკიცეს სამშობლოს დაცვაში, იგი უქარწყლებს და უბათილებს ძირითად სტიმულს, სულის ძლიერების ბურჯს.

დღეს შესაქმნელია ეროვნული ენერგიის და თავდადების პათოსი სამშობლოს იდეისა, მის მთლიანობის, მის დამოუკიდებლობის დასაცავად, ხოლო მართველი პარტია და მართველი მთავრობა ამ პათოსის მქვებავ ნერვს ასე უგუნურად გადასჭრის! მტრად რომ გიცნობდენ ხალხისა, იკითხავდენ, რამდენი ვერცხლისათვისო.

მაგრამ აქ ხომ საქმე გვაქვს თქვენს იდეოლოგიურ ბარბაროსობასთან, თქვენს გადმოურჯულებულ გადაგვარებასთან. .

დამოუკიდებლობას არ ეტრფი, მას ძიძობას არ გაუწევ, მას არ ისახავ მიზნათ და იდეალათ, მაშ გზა მიეცი დენიკინს, დამოუკიდებლობა მას ჩააბარე ფიზიკური არსებობა თუ დაგიტოვა და მერე რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ძველ გზაზედ და ძველის ჰანგებით იარე! მაშ, ხალხმა რად უნდა დაიცვას დამოუკიდებლობა, რომელიც შენ, მის „ბელადს" არ გწამს, რომელსაც შენ, მისი „ბელადი" არ ეტრფი?!

ღმერთმა ჭკუა ხომ არ წაგართვათ! მაგრამ საქართველო აქ რა შუაშია? საქართველომ რა დააშავა?

საბრალოა სამშობლო „ერთობის" სიდუხჭირისა და კრეტინიზმის ტყვეობაში.

## აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარის უსუბეკოვისა და ჯაფაროვის შორის პირდაპირი მავთულით საუბარი

**ჯაფაროვი** (თბილისიდან) ეკითხება—როგორია მდგომარეობა ბაქოში, მოხალისეთა ჯარის დაღესტნისაკენ წასვლის შემდეგ.

**უსუბეკოვი** (უპასუხებს). მდგომარეობა უცვლელია, მოხალისეებმა დაიკავეს პეტროვსკი და დერბენტი. დარუბანდში მათი ჯარის ნაწილები უმნიშვნელოა, პეტროვსკში კი 5000 კაცი ჰყავთ. მიღებულია ოფიციალური განცხადება, რომ დარუბანდის აქეთ ერთი ჯარისკაციც არ წამოვა. მე მოვითხოვე, დარუბანდი საჩქაროდ გაეწმინდათ. ჯერ-ჯერობით არავითარი საფრთხე არ არის.

ჩემთან იყო ბულგარეთის ყოფილი ელჩი სავინსკი, აგრეთვე პარიზიდან მომავალი გენერალი ბუბნოვი. ესენი გვარწმუნებენ, რომ სულიერი მდგომარეობა კოლჩაკისა და დენიკისა შეცვლილა. ისინი სცნობენ ჩვენ დამოუკიდებლობას. მე განუცხადე რომ თუ ეს მართალია, ისინი ვალდებულნი არიან საჩქაროდ გაწმინდონ დაღესტანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით, შესაფერი ზომები მივიღოთ ჩემ მიერ მიღებულ ზომებმა მიაღწიეს

12 ივნისს დაიწყება ბაქოდან ინგლისელების ევაკუაცია. ამ დროისათვის ველით იტალიელებს, რის შესახებაც ოფიციალური ცნობა მივიღეთ.

მცხოვრებთა სულიერი განწყობილება კარგია.

## საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოკავშირეებთან

**ფოთი,** მაისის 28. მაისის 26 საღამოს მოვიდა ფრანგების გემი „ანატოლიე" და ჩამოიტანა საქართველოს მთავრობისთვის დიდძალი მანუფაქტურა და ფეხსაცმელები, სამაგიეროდ გემს გააქვს საქართველოდან მატყლი, ბამბა და აბრეშუმის პარკი. გემი უკვე იტვირთება მატყლით. მოელიან კიდევ საზღვარ-გარეთიდან ორ გემს.

## აზერბაიჯ[illegible]

**იტალიელები მთიელებთან**

მაისის 23 საღამოს 4 საათზე იტალიის მისიის უფროსმა პოლკოვნიკმა გაბბა ინახულა მთიელთა რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელის მოადგილე მოლლაჩიხანი. პოლკოვნიკმა სთქვა რომ თბილისში მას ესიამოვნა მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლის ნახვა. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ არა აქვს საშუალება შურაში წასვლისა, რადგან საჩქარო საქმეების გამო იგი პარიზში უნდა წავიდეს. პოლკოვნიკმა იმედი გამოსთქვა, რომ კონფერენცია სულ ახლო მომავალში გადასწყვეტს პატარა ერების ბედს და იტალია სწორედ პატარა ერების კანონიერ მოთხოვნილების მომხრე იქნება. საპასუხო სიტყვაში [illegible]ლაჩიხანმა აღნიშნა რომ მთიელთა რესპუბლიკა მოუთმენლად ელის მცირე ერების ბედის გადაწყვეტას. „მთიელები ვიმედოვნებთ, რომ ის ხალხი რომელსაც გარიბალდი ჰყავდა გაიგებს სულისკვეთებას მთიელებისას, რომელთაც წმინდადა აქვთ შენახული შამილის აღთქმა.

**დენიკინის წინსვლა**

ბაქოდან მიღებული ცნობებით დენიკინის ჯარი დარუბანდის აღების შემდეგ ბაქოსაკენ მიიწევს. იტალიელების პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე მოხალისეთა გენ. ერდელმა განაცხადა, რომ ბაქო და აზერბაიჯანის ძალები ბოლშევიკების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთო.

## ქრონიკა

✦ **მოსალოცი დეპეშა.** საქართველოს მთავრობასა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს დიდძალი მოსალოცი დეპეშები მოსდის. მიღებულია 100 დეპეშა.

✦ **მოწაფეთა ექსკურსიების შესახებ.** განზრახული იყო ამ სამოსწავლო წლის ბოლოს მოეწყოთ მოწაფეთა ექსკურსიები. მაგრამ ვინაიდან გადამდები სენი არ მოსპობილა, განათლების სამინისტრომ ექსკურსიების მოწყობა შეუძლებლად სცნო.

✦ **ერობის არჩევნები ბორჩალოს მაზრაში** ბორჩალოს მაზრიდან საქართველოს მთავრობასთან არსებულ პრეს ბიუროს ატყობინებენ: „ერობის არჩევნებისათვის წინასწარი მუშაობა დამთავრებულია. ამომრჩეველთა სიები შესწორებულია კანდიდატთა სიების წარდგენა 31 მაისამდე შეიძლება. მაზრა დაყოფილია 5 საარჩევნო რაიონად: 1) შულავრის რაიონი უნდა აირჩიონ 5 ხმოსანი, 2) ბორჩალოს რაიონში 5, 3) ეკატერინოფელდშიც და ბაშკირის რაიონში, 4) წალკინისაში 10. მუსულმანების ზოგი სოფლები არჩევნებს გულგრილად ეკიდებიან, რომლის მიზეზია უპასუხისმგებლო პირთა აგიტაცია.

✦ **რეკვიზიციით ჩამორთმეულ ცხენების ფასების გადახდა..** სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გასცა ბრძანება, რომ ივნისის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინამ გადაიხადოს ჯარისათვის რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ ცხენების ფასები ის პირნი რომელთაც ცხენები ჩამოერთვათ და დაწესებულ სარეკვიზიციო ბარათები აქვთ უნდა გამოცხადდნენ სამხედრო სამინისტროს სარემონტო სექციაში, საიდანაც ხაზინაში გაგზავნიან ფულის მისაცემად. თბილისის მე-8 და მე 10 კომისარიატის მცხოვრებნი უნდა გამოცხადდნენ ივნისის 5—7-დე; მე-11 და მე-12 კომისარიატის მცხოვრებნი—9 ივნისიდან—11-დე. ხოლო დანარჩენ უბნების მცხოვრებნი 12—14 ივნისამდე. მაზრებისა და სოფლის კომისრებმა უნდა მოაგროვონ ყველა ბარათები და გამოგზავნონ სამხედრო სამინისტროს სარემონტო სექციაში; ფულს მიიღებენ ან თბილისში, ან სამაზრო ხაზინიდან.

✦ **ბოტანიკურ ბაღში.** კვირას 1 ივნისს იხსნება ბოტანიკურ ბაღის გვირაბი. გვირაბი ღია იქნება დილის 8 საათ. საღამოს 8 საათამდე შესასვლელი ფასი 50 კაპ. ბავშვები 10 წლამდის და შეგირდების ექსკურსიები უფასოდ.

✦ **შემოწირულება.** რედაქციამ მიიღო გრ. ჩარკვიანისაგან აწ გარდაცვალებულ ბიძაშვილის დიმიტრი ჩარკვიანის სულის მოსახსენებლად ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, ასი მანეთი, რაც დანიშნულებისამებრ გადაეცა

✦ **უბედური შემთხვევა** ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის წლის თავის დღეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, მისი ამხანაგებით და ქვესტორით საზეიმო პარაკლისზე მეჩეთში მიემგზავრებოდნენ. ბოტანიკურ ბაღის ქუჩაზე ავტომობილს დაეჯახა გამოქანებული ურემი ავტომობილი ვერ შეაჩერეს, იგი სის წრაფით უკან დაექანა. ავტომობილიდან გადმოხტა ქვესტორი ს. ჟორჟოლიანი, რომელსაც ფეხზედ გადაუარა ავტომობილმა, ჟორჟოლიანი საავადმყოფოში წაიყვანეს. დანარჩენები უვნებლად გადარჩნენ.

✦ **კულტურულ-განმანათლებელი სექცია.** სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებ. სექცია თხოვს რედაქციებს, მაღაზიებს და კერძო პირებს შემოსწირონ ძველი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები სექციას, სოჭის ფრონტზე გასაგზავნათ, მეომარ ჯარის კაცთა და გვარდიელთათვის. გენერ. შტაბი. კაპიტანი ალ. გორგაძეს. აგრეთვე სექცია სთხოვს ლექტორებს და მასწავლებლებს წაიკითხონ ხოლმე ლექციები ჯარის ნაწილებში სხვა და სხვა თემაზე.

## იუსტიციის სამინისტროში.

✦ **ნაფიც მსაჯულთა არჩევნები.** ნაფიც მსაჯულთა არჩევნები ოზურგეთისა და გორის მაზრებში და ქ. ქუთაისში უკვე დამთავრდა და სიები სათანადო საოლქო სასამართლოს წარუდგინეს.

**სიკვდილით დასჯა.** 27 მაისს მთავრობამ დაადასტურა სიკვდილის განაჩენი ნავაიძისა, მიქაბერიძისა და მეფარიშვილისა. პირველ ორს ბრალდებათ ოზურგეთის გზაზე ფოსტაზე დაცემა, მესამეს კი კომისრის თანაშემწე—ლანჩავას მკვლელობა.

✦ **მატარებელზე თავდასხმა.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იუსტიციის სამინისტროს ატყობინებს, რომ 20 მაისს სადგურ კოპიტნარის ახლოს თავს დაესხნენ სახალხო მატარებელს № 6. გაძარცვეს მგზავრი ცხვარაძე. დაჭრილნი არიან სად [illegible]იონის მილიციელი—შენგელია, და ოფიცერი თალაკვაძე

## ბოროტ მოქმედებანი.

✦ **ქურდობა.** 28 მაისს ე. ფერქოსამის ბინიდან (გლდანის ქ. № 28) მოიპარეს 7480 მან. სხვა და სხვა ნივთები.

✦ **ქურდობა** 28 მაის დილით უცნობმა ბოროტ გამზრახველებმა გასტეხეს სავაჭრო სახლი ა. კარზოვერანისა და მოიტაცეს სხვა და სხვა საქონელი რომელთა რაოდენობა გამოურკვეველია ეჭვით დაიჭირეს მეეზოვე.

✦ **ქურდობა.** 26 მაისს, დილის 10 საათზე, გაქურდეს გ. არუთინოვის ბინა (საპიორ. ქ. № 32) და წაიღეს 3100 მან. სხვა და სხვა ნივთები.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული შემდეგი ქართული წიგნები, დ პიტნავას გამოცემული 1) ბატონყმობის გადავარდნის ამბებზი ზ. ჭ. ფასი 3 მან. 2) თბილისის ამბოხება 1865 წ. ზ. ჭიჭინაძისა, ფასი 4 მან.

— რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის მიერ გამოცემული მ. ზაალიშვილის შემდეგი „ართმეტიკული სახელმძღვანელო", წიგნი სუფთადაა გამოცემული და ერთი თუმანი ღირს.

✦ **კრება.** დღეს, შაბათს, 31 მაისს საღამოს 6 საათზე, [illegible] (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია სეირნობის მომწყობი კომისიის კრება.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურში შემდეგი კორექტორული შეცდომაა დაშვებული: დაბეჭდილია „მისი დასრულებული განდება". უნდა იყოს: „მისი დასრულებული ტანდება"; და შემდეგ: „ერთი წუთითაც დაისახონ". უნდა იყოს: „ერთი წუთითაც დაიგვიანონ".

## სამხატვრო ქრონიკა

✦ **ქართული კლუბი.** კვირას ივნისის 1-ს ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება საინტერესო იგავი: „მზის საიდუმლო" ჰეიერისა, სადაც მხევლის როლს შეასრულებს ბარონესა კლეისტ მირიმანოვისა სპეციალური ცეკვით. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე რამდენიმე მინიატიურა და ბოლოს ელო ანდრონიკაშვილის საუკეთესო მოწაფენი შეასრულებენ „ლეკურს". მონაწილეობენ ნინო დავითაშვილი, აბაზაძე, ბ-ნი ვალ. გუნია, პლატ. კორიშელი, დ. ჩხეიძე, აბდუშელი, თარალაშვილი და სხვ.

## † ბაბო მიქელაძე

მწარე ნაღველი გაგვილესა ბედმა. ჯერ ისევ ნორჩი იმედებითა და ენერგიით აღფრთოვანებულთ ახალი გაცისკროვნებული ცხოვრების გზა შეგვებურა.

მაისის 11-ს სოფ. რუისში, შავმა სახადმა შეუბრალებლად გამოგვაცალა ხელიდან ადგილობრივ „ქალთა საზოგადოების" ერთი ფხიზელი, საქმის ერთგული ადამიანი, ბარბარე ნიკოლოზის ასული მიქელიძისა.

განსვენებული მთელი თავის ძალღონეს საზოგადოების სამსახურისთვის არა ზოგავდა. ორი წლის წინად ჯერ ისევ ახალი დაარსებული იყო საზოგადოება როცა განსვენებულმა დაჰკარგა ერთად ერთი ქალი, პატარა ნინო, მწუხარე მშობლებმა აღუთქვეს საზოგადოებას ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება საყვარელი შვილის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ დღიდან განსვენებული დაუზარებლივ ემსახურებოდა საქმეს და სცდილობდა მასში ჩაეკლა თავისი სულის გლოვა მწუხარება, რომ საკეთილდღეო საქმეზე აღმოცენებულიყო ძვირფასი შვილის [illegible]ოვნა და სიყვარული.

„ქალთა საზოგადოებამაც" გაიზიარა პატარა ნინოს ხსოვნა სიყვარული და ადგილობრივ საფეიქრო სასწავლებელში დაარსა პატარა ნინოს სახელზე სტიპენდია ღარიბ მოწაფეთათვის.

დიდი დანაკლისია ჩვენი საზოგადოებისთვის მისი სიყვარული, მაგრამ არ დავეცემით სულით დ განვაგრძობთ შენგნით არჩეულ გზას ჩვენო ძვირფასო ბაბალე, შენ კი, განისვენე. მშვიდობით!

**ელ. დეკ—ლი.**

## † იონა მეუნარგია

კიდევ ერთი ძველი მოღვაწეთაგი მოაკლდა იმ დიდებულს გუნდს, რომელმაც თავს იდვა ამ ორმოცსა და ორმოცდა ათის წლის წინად განახლება და აღორძინება ჩვენის მწერლობისა, მწიგნობრობისა, ლიტერატურისა.

ვერც-კი მოვასწარით გამოგლოვება კირილე ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის, ამ ჩვენის საგაზეთო საქმის პიონერისა და ძიძისა, რომ მოვიდა სამწუხარო ამბავი იონა მიხეილის-ძის მეუნარგის გარდაცვალებისა.

კირილე უფროსი იონაზედ. კირილე პირველი რედაქტორი იყო პირველის გაზეთისა, ისეთის გაზეთისა, რომელსაც ახლა ასე შევეჩვიეთ, რომელიც ასე საჭიროდ მიგვაჩნია და ასეთ დიდს როლს თამაშობს დღეს...

იონა მხარში ამოუდგა, თუ პირველს, არა მეორესა და მესამეს რედაქტორს, მერე მეოთხესაც: გიორგი წერეთელს, სერგი მესხს და ჭავჭავაძეს.

მხნედ, გულ-დადებით, სიყვარულით, ახალგაზდურის ძალღონით მუშავობდა იონა, უფროსთაგან წაქეზებული, საგაზეთო სამწერლობო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზად.

ადვილი არ იყო მაშინ ეს მუშაობა ახალი ხილი იყო მაშინ გაზეთი, რომელიც პირველად რამდენისა წლის განმავლობაში მხოლოდ კვირაობით გამოდიოდა (1866—1876).

არსად სჩანდა თანამშრომელი, მკითხველი, თანაგრძნობა, დახმარება, სალარი...

ყოველივე ძნელი ხელ-მოსაკიდი იყო, მაშინ, ვაი-ვაგლახით საკეთებე-

[library stamp, illegible]

ლი, ნელ-ნელა, დიდის მოთმინებით, რუდუნებით, თავ-დადებით, მსხვერპლ-შეწირვით ..

მხოლოდ 1877 წელს, სერგი მესხის დროს, პირველმა გაზეთმა „დროებამ" იწყო გამოსვლა კვირაში სამჯერ, იმიტომ რომ რუს-ოსმალთა ომმა ჩვენს მახლობლადაც აგრიალდა ზარბაზნები, აახმაურა არე-მარე, გამოაღვიძა მიდამო და გულს იმედი ჩაგვესახა, იქნება ინგლისმაც, რომელიც ჰშველოდა ოსმალეთს ამ ომში, ჩვენკენ წყალობის თვალით მოიხედოს და, თავის დიდის ინტერებისთვის აღმოსავლეთში, რუსთა მონობის უღელი აგვხადოსო...

აი ამ დროს იღვწოდა იონა, საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებული, იქაურის იერით გარემოცული, იქაურ სალიტერატურო გემოვნებით გამსჭვალული, იქაურ კულტურულ ზნოებით გალაზათიანებული.

ბუნებითვე გულ-ჩვილი, ნაზისა და ლმობიერის ხასიათისა, ზრდილობით სავსე, საფრანგეთის გავლენამ უფრო ზრდილობიანი გახადა, მეტი ზნე და ლაზათი მისცა, არა მარტო ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ მუშაობაშიაც, სალიტერატურო მოღვაწეობაშიაც.

ტყუილად-კი არ ამბობდნენ მაშინ ალერსიანის ხუმრობით, იონა ქალივით ნაზის ხასიათისააო, ეგ იონა მიხაილოვნაა და არა იონა მიხაილოვიჩი. ნამდვილი „ოფრანცუჟენნი მინგრელეციაო".

ეს სირბილ-სინაზე, ეს შემწყნარებლობა სხვის აზრისა და რწმენისა, იყო მიზეზი იმისი, რომ იონა ყველგან პატივცემული იყო და მიღებული. ჩვენის მწერლობის კორიფეებთან ხომ ისე იყო, როგორც მუდამ სასურველი შინა კაცი. ამიტომ იყო, რომ საზოგადოდ იონას „გენერლების" მეგობარს ეძახდნენ.

მისის წერის მანერა სუბუქი იყო, მხიარულის კილოთი მოსილი, ქილიკობითა და ენა-მახვილობით შეზავებული, მარილიანი.

ზოგიერთი მისი ნაწერი დიდ მითქმა მოთქმას გამოიწვევდა ხოლმე მაშინდელ ლიტერატორთა მცირე გუნდში. ასე იყო, მაგალითად, „დროებაში" მისი ფელეტონი რომელსაც სათაურად ჰქონდა: „სავით" და შეეხებოდა ქართულ გრამატიკას, სტილისტიკას. ასეთივე იყო მისივე ფელეტონი იმავ გაზეთში 1883 წელს „ელგუჯას" ავტორის შესახებ, საცა მოყვანილი იყო აღტაცებული შენიშვნები იმ წელს გარდაცვალებულის გრ. ორბელიანისა ამ მართლა საოცარის ნიჭით დაწერილის რომანის შესახებ. მას შემდეგ ერთი ათად გაიზარდა და გაითქვა სახელი ა. ყაზბეგისა, როგორც შესანიშნავის მწერლისა და რომანისტისა.

იონა ამ მხრივ დიდის ენერგიის კაცი იყო. ადვილად ახერხებდა მწერალთა ერთად შეკრებას, სადილ-ვახშმის გამართვას რომელსამე მდიდრის სახლში რაიმე სალიტერატურო და საზეიმო ამბის გამო, ხელ-ნაწერის გამოცემისთვის მუშაკის მოწყობას, ვარიანტების შესადარებლად მთელის კონფერენციის მოწვევას, ამისთანებში იონა დიდს მხნეობას და დაუზარებლობას იჩენდა და სწორედ შეუდარებელი მოსაქმე და დახელოვნებული ოსტატი იყო.

რომელსამე კონსულის პატივისცემის მოგვარებას, სახელ განთქმულ მეცნიერების დახვედრას, იუბილეს მოწყობას, დიდის საქმის წლის თავის გამართვას. დიდებულად დახვდა ცაიშში იონა ილიასა და დავით ერისთავსა და სხვებს, ვინც იმასთან ერთად მიდიოდნენ გორდში, სამეგრელოს მთავრის საზაფხულო სადგომში, საიდანაც უნდა ჩამოეტანათ მისი ძველი ნაწერების ბიბლიოთეკა, შემოწირული წ.-კ. საზოგადოებისადმი.

1879 წელს იონა ახლად დაარსებულ „წერა-კითხვის საზოგადოების" მდივნად იქმნა მიწვეული და ამ საზოგადოების სასარგებლოდ არა მცირედი იღვაწა. მეტადრე დიდი შრომა მიუძღვის ძველ ხელ-ნაწერების შეგროვების საქმეში. თითქმის მარტო იონას შრომამ ჩაუყარა საძირკველი იმ დღეს დაუფასებელ სიმდიდრეს, რომელსაც „წ.-კ. საზოგადოების" წიგნთსაცავ-მუზეუმი ეწოდება.

უფრო დიდია მისი შრომა და ღვაწლი მწერლობის ასპარეზზედ. ამ დარგში იონას სახელი აქვს გათქმული, როგორც ბიოგრაფს ჩვენის გამოჩენილის და დიდებულის მწერლებისას. მართლაც, იმ კალამს ეკუთვნის დიდის გულ-მოდგინებით დაწერილი ცხოვრება და მოღვაწეობა გიორგი ერისთავისა, გრიგოლ ორბელიანისა, დავით ერისთავისა, ილია ჭავჭავაძისა. ეს უკანასკნელი ჯერ არ დაბეჭდილა.

ნიშნობლივი თვისება განსვენებულისა ამ მხრივ ის იყო, რომ ყოველ მოღვაწეს მწერლობაში განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა, დიდის გულმოდგინებით ჰკრებდა ცნობას მის ნაწერებისა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ და მრავლად აგროვებდა საამისო მასალას. არ გამოეპარებოდა, არამც თუ დიდი რამ, შესამჩნევი ამბავი ლიტერატურის შესახები, არამედ არც მცირედი რამ გარემოება, თვით უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი წვლილიც-კი. დარწმუნებულნი ვართ, მის ქაღალდებში მრავალი საინტერესო ცნობანი და მასალა აღმოჩნდება საბიოგრაფიო და საისტორიო-სალიტერატურო.

ბოლოს დროს, როცა ხანში შევიდა, იონა უფრო პრაქტიკულის მოღვაწეობას შეუდგა. კარგა ხანს იყო ფოთში ხმოსნად, გამგეობის წევრად და მოურავის მოადგილედ, ხოლო ამ უკანასკნელ ხანს ზუგდიდის მაზრის საერობო გამგეობაში წევრის თანამდებობას ასრულებდა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!
და იქნება კიდეც!

გრ. ყიფშიძე.

# სომხეთში

ყარსი

სომხეთის ჯარის შემდეგ, „აშხატავორის" ცნობით მდგომარეობა ყარსში უკეთესდება. სომხეთის სარდლობამ მიიღო უსასტიკესი ზომები თავიანთ ეროვნულ სიმდიდრის მოსაკრებად და დასაცავად. ყარსის კავშირი „შურა" ფაქტიურად აღარ არსებობს კავშირის წევრები სრულიად დაკმაყოფილდნენ მით რომ სომხებმა მიიღეს პატარა ადგილები სომხეთის ადმინისტრაციისაგან, მაისის 6-ს არტაანის ოლქის გელსის მხრისკენ გაემგზავრა ყარსის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. მასთან ერთად გუბერნატორის დავალებით გაემგზავრა ეროვნულ საბჭ. თავმჯდ. ექიმი გაჯიევი და ბერძნების მღვდელი. ამათ გაჰყვა მერდენეკში ჯარი.

მაჰმადიანთა სახელმწიფო სამსახურში მიღება ხალხზე დიდ გავლენას ახდენს.

ყარსის გუბერნატორმა გამოიწვია ქურთი ჰასან-ბეი შამშადილოვი და ყაგიზმანის ოლქის უფროსად დანიშნა. მისი დანიშვნა გაუხარდა არა მარტო მაჰმადიანებს სომხებსაც კი, რომელთაც მან დიდი დახმარება გაუწია.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).
30 მაისი.

## გერმანული პრესა.

**კელნის არქიეპისკოპოსის პროტესტი.**

კელნის არქიეპისკოპოსმა კარდინალმა ჰარტმანმა დროებითი ზავის გერმანულ კომისიას პროტესტი წარუდგინა იმის გამო, რომ მალმეიდა და ელფენი, რომლებიც 6 საუკუნის განმავლობაში კელნის საეპისკოპოსოს მართველობის ქვეშ იყო, უკანასკნელს ჩამოაშორეს.

**გერმანია და საზავო პირობები.**

იმის წინაალმდეგ, ვითომ ზავის უარყოფა გერმანიის პროლეტარიატის მხრით მეტად დიდ და შეუძლებელ მსხვერპლს მოითხოვდეს, ზოგიერთი გერმანული გაზეთი ირწმუნება, რომ ზავის მიღებით სასურსათო კრიზისის საკითხები ერთბაშად ვერ მოწესრიგდება. მოკავშირეთა ის მოთხოვნილება, რომ შეზიდულ სურსათში გერმანიამ ოქროთი გადაიხადოს, ადრე თუ გვიან შესწყვეტს სურსათის მოწვდენას.

**გერმანიის საზავო პასუხი**

გერმანიის საზავო პასუხი, რომელიც ვერსალში ოთხშაბათს გადასცეს, იწყება ლოიდ-ჯორჯის, ბონარ-ლოუს, პიშონის და ვილსონის სიტყვებიდან აღებული ადგილებით. ამით მტკიცდება, რომ მოკავშირეთა მისწრაფებათა გამომხატველნი იზიარებენ ვილსონის შეხედულებას: 1917 წ. აპრილის 2, ვილსონმა განაცხადა, რომ მოკავშირეები გერმანიის ხალხს კი არ ებრძვიან, არამედ გერმანიის იმპერიალიზმს და რომ გერმანიის მშვიდობიან განვითარების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ამის გამო გერმანელი ერი მოელოდა სამართლიან და არა გამადგურებელ ზავს.

**პროფესიონალ კავშირთა ყრილობა.**

პროფესიონალ კავშირთა საერთო კომისია ივნისის 30 ნიურენბერგში იწვევს პროფესიონალურ კავშირთა ყრილობას, რომელიც 7 დღეს გაგრძელდება. მომენტზე მოხსენებას წაიკითხავს თავმჯდომარე თეგიენი, რომელიც ამ ჟამად ვერსალშია, როგორც გერმანიის დელეგატი.

## ინგლისური პრესა

**მფრინავი რიდი.**

პრეზიდენტმა ვილსონმა მფრინავ რიდს დღეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: თქვენი მარჯვე ფრენის გამო მიიღეთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და ღრმა სიხარულის გამოთქმა. სამშობლო თქვენით ამაყობს. თქვენ მოიპოვეთ და ღირსი გახდით ახალი წარმატებასა და თქვენს დაფნის გვირგვინს ახალი ფურცლები მემატება.

**ჰანოვერის დამოუკიდებლობა**

ვოლფის სააგენტოს ცნობით, ჰანოვერში გერმანულ პარტიის მიტინგზე ჰანოვერის დამოუკიდებლობა მოითხოვეს. წესრიგი არ დარღვეულა, მხოლოდ სპარტაკელებმა მოახდინეს უმნიშვნელო დემონსტრაცია, რითაც მათ გამოხატეს თავისი პროტესტი ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ. მიტინგზე პროტესტი განაცხადეს აგრეთვე პრუსიის ეროვნულ ყრილობის იმ დადგენილების გამო, რომ ჰანოვერის დამოუკიდებლობას მხოლოდ იქაური სპარტაკელები მოითხოვენ. ჰანოვერის მცხოვრებთ სურთ თავისუფალ გერმანიაში თავისუფალი ჰანოვერი იხილონ.

**კლოტცის სიტყვა.**

ლიონიდან იუწყებიან, რომ სენატში კლოტცმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ფინანსიური პოლიტიკა დაასურათა: მან ჯერ აღნიშნა, რომ საჭიროა ისეთი პოლიტიკა, რომელიც თავიდან აიცილებდა ზედმეტ ხარჯებს და მეორეს მხრით მფარველობას გაუწევდა აუცილებელ წარმოებას. მიუხედავათ იმისა, რომ ომმა მძიმე გავლენა იქონია საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე, საფრანგეთმა მაინც მოგვცა თანხმობა 3 ნახევარი მილიარდის გადასახადების გაწერისა. მინისტრმა სავსებით დაახასიათა, თუ როგორი იყო საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა ომამდე და როგორია იგი ეხლა. ის ამბობს: ჩვენ შეერთებულ შტატების დახმარების და მხურვალე მონაწილეობის იმედი გვაქვს. ჩვენთვის ამაში უარი არ უთქვამთ მას შემდეგ, რაც ამერიკა მსოფლიო ომში ჩაერია. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია გამოვარკვიოთ საფრანგეთ ამერიკის ფინანსიური ურთიერთობა. მაგრამ გვწამს, რომ ის თანხები, რომელთაც ამერიკა უახლოეს თვეებში მოგვაწვდის. ყველა ჩვენ საჭიროებას დააკმაყოფილებს და ჩვენ სულით არ უნდა დავეცეთ; ეს არ შეეფერება იმ გმირობას, რომელიც საფრანგეთმა ომის დროს გამოიჩინა. ამასთანავე სიმართლეს არ შეეფერება, თითქოს საფრანგეთს დაუდევრობა გამოეჩინოს ფინანსიურ საკითხში. პირიქით უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. სიტყვის დასასრულს მინისტრმა სენატს მიმართა და სთხოვა მხარი დაუჭიროს მთავრობას, რათა მან დაარღვიოს ის დაბრკოლებები, რომელიც თუმცა მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრად ნაკლები მნიშვნელოვანია, ვიდრე ომის დროს გადალახული დაბრკოლებანი.

**მარშალი პეტენი.**

მარშალი პეტენი გენ. გუროსთან ერთად ხუთშაბათს საღამოთი საგანგებო მატარებლით კოლმარში მივიდა. მან დაათვალიერა მე 12, ქვეითი პოლკი და შემდეგ მთავარ შტაბში წავიდა სათათბიროდ.

## ფრანგული პრესა.

**ჟურნალისტი გერლახი გერმანელებზე**

მაისის 29. გაზ. „ტან"-ს ბერლინელი კორესპონდენტი აუწყებს, თუ გერმანიაში როგორი სულიერი განწყობილება სუფევს და როგორ ამახინჯებენ სინამდვილეს: „მე მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელსაც გაბედული ჟურნალისტი გერლახი აღნიშნავს „გერმანულ გაზეთ"-ში: ცნობებია, რომ მოკავშირეებმა გერმანიას მოსთხოვეს 140,000 მეწველი ძროხა, რომელიც 3 თვეში უნდა გადასცენ. გერმანიის მთავრობამ ეს უმალ უაღრეს დაუნდობლად ჩასთვალა და განაცხადა, რომ ეს გერმანულ რასის განადგურების და ბავშვების ამოსახოცი საშუალებაო. გერმანიის მთავრობა არც კი იხსენიებს, რომ ეს 140,000 ძროხა საფრანგეთსა და ბელგიას წაართვეს 4 ნახევარ წლის ომის და ოკუპაციის დროს. გერმანული პრესა სდუმს იმაზე, რომ აოხრებულ ოლქებში რძის სიმცირის გამო ბავშვები არა ნაკლებ იტანჯებიან. ამ ნაირად, ჩამორთმეულ ქონების უბრალო ანაზღაურებას უსაშინელეს სიმკაცრედ სთვლიან. ასეთის საშუალებით სინამდვილეს ყოველთვის მალავენ. შედეგები ისეთივეა, როგორიც მიზეზები იყო. 1914 წლის ნახევარში ტენდენციური და ყალბი ცნობების გავლენით და უმნიშვნელოვანეს ამბების თითქმის სრული უცოდინარობის გამო გერმანიის ხალხი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა მთავრობის იმ განკარგულებებს, რომელმაც მსოფლიო ომი გამოიწვია. ნუ თუ იმავე მიზეზით—პოლიტიკურ მოუფიქრობლობის გამო,—იგივე [illegible] ომები განმეორდება?"

**ელზას-ლორენი**

სტრასბურგიდან იუწყებიან, რომ აქაურ ჟურნალისტთან საუბრის დროს მილერანმა დიდი სიხარული გამოსთქვა ელზას-ლორენის მცხოვრებთა იმ სულიერ განწყობილების გამო, რომელსაც გენერალური კომისარები ამოწმებენ. აღფრთოვანებით განაცხადა, რომ მთელი ძალღონით ეცდება ელზას-ლორენის საფრანგეთთან შეერთებას, ეს კი მოსპობს ყველა გაუგებრობის საბაბს.

**შვეცია-ნორვეგია**

**სტოკჰოლმი.** საბჭოთა პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა: (გაუგებარია), და აგრეთვე ნორვეგელები შვეცია ნორვეგიისთვის ხალხთა ლიგის ხელშეკრულების მიერ შექმნილ პირობების შესახებ შვეციის მთავრობასთან სათათბიროდ შვეციაში წავიდნენ ნორვეგია მოითხოვს სკანდინავიის 1915 წ. დაწესებულ პოლიტიკის შეცვლას. ნორვეგიას უმჯობესად მიაჩნია ხალხთა ლიგაში ცალკე შესვლა.

## იტალიური პრესა

**ოთხთა საბჭო.**

ოთხთა საბჭომ გუშინ ავსტრიისთვის შემუშავებულ ხელშეკრულების ეკონომიური პირობები განიხილა, რის შემდეგაც დაადგინეს მოისმინონ ჩეხოსლოვაკთა, სამხრეთ სლოვიანთა და რუმინიის დელეგაციის მოხსენებანი. შუადღეს სხომაზე საბჭო გაეცნო ბროკდორფ რანტცაუს 2 ნოტას საარის ოლქის შესახებ და დაადგინა შეადგინოს დაწერილებითი პასუხი, რომელიც ხვალ უნდა გადაეცეს გერმანიის დელეგაციას. ძირითადი პრინციპები არ შეიცვლება და ცვლილებებს შეიტანენ მხოლოდ იმ პირობებში, რომელიც გერმანელების მიერ ზარალის ანაზღაურებას შეეხება

**გერმანიის ფინანსიური კომისია.**

პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ფინანსიურმა კომისიამ პარიზზე გაიარა და ვერსალში გაემართა.

## ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** მაისის 28. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. გამოვიდა „ც. კ. კომუნისტურ პარტიის იზვესტია"-ს პირველი ნუმერი. ც. კომიტეტის დადგენით „იზვესტია", „პრავდასთან" — ერთად ყოველ კვირეულად გამოვა. გაზეთი მხოლოდ პარტიული მუშაობისათვის არის. „იზვესტიაში" გამოქვეყნდა პარტიულ მობილიზაციის შედეგები. მობილიზაცია კარგად ტარდება. პეტროგრადის დაწესებულებებში მომუშავე პასუხისმგებელ პირებისა მობილიზაცია გამოცხადდა გაწვეულებს დედაკაცები შეჰცვლიან. მრავალი მოხალისეთ ეწერება. ახალგაზრდათა კავშირი 20 პროცენტსა გზავნის ჯარში მრავალმა ქალაქმა კომუნისტების სპეციალური რაზმები გაგზავნა ფრონტზე. სამობილიზაციო პროცენტი ირყევა 5-ან 100-მდე, უმეტეს ადგილებში გაწვეულია მცხოვრებთა 20 პროცენტი. ფრონტის ახლო მდებარე ადგილებში 50 პროცენტი, იმ ადგილებიდან, რომელთაც პირდაპირი ს[illegible] ყველა გაყავთ. საერთოდ პარტიული მობილიზაცია ძალიან კარგათ მიდის.

**მოსკოვი.** მაისის 28 კოლჩაკის შემოტევამ გვაიძულა საუკეთესო ძალები ფრონტზე გაგვეგზავნა. რის გამოც ზურგში კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა გაძნელდა. მოხდა აჯანყება და გაფიცვა, თეთრ გვარდიელების აგიტაცია მერყევი სოციალისტური პარტიის დახმარებით იზრდება, რის გამოც „დელო ნაროდა" და „ვსეგდა ვპერიოდი"-ი დაიხურა. ზოგიერთი ესერები და მენშევიკები დაჭერილია. ამ პარტიის ზოგიერთი წევრი კი საბჭოთა მთავრობაში მუშაობს.

**სამხედრო ცნობა.** მაისის 28. ჩრდილოეთის ფრონტი. შენკურსკის მიმართულებით მძიმე არტილერია დროგამოშვებით მოქმედებს. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართულებით მარტინოვის რაიონში ბრძოლაა. ლუგის მიმართულებით, სოფ. კრასნაიაგორკის რაიონში ბრძოლაა. პსკოვის რაიონში ესტონიის წითელმა ჯარმა ახალი პოზიციებისკენ დაიხია. მარიენბურგის მიმართულებით წითელმა ჯარმა ახალი პოზიციები დაიჭირა. პონევეჟის რაიონში ბრძოლაა. ლუნინეცის რაიონში მოწინაალმდეგემ ჩვენი ჯარი შეავიწროვა.

**სამხრეთის ფრონტი.** ტაგანროგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მდ. მოკრაია-ბელოსარაის ხაზი დასტოვა. ჩრდილოეთით ჩვენ მალი-იასალი და სოფ. ხელებოდაროვკა დავიჭირეთ. იუზოვო-მარიუპოლის რკინის გზაზე სად. გრიშინთან ჩვენი შეტევა გრძელდება. იუზოვო-ბახმუტის მიმართულებით ჩვენ სად. პეტრუპკი, ბატმანკა და სოფ. ვორსუპი დავსტოვეთ. დემალცევოს რაიონში ჩვენმა ჯარმა სად. პოტროვენკის აღმოსავლეთით ახალშენები დაიჭირა. კამენაკის რაიონი სად. გლუბოკოეს ახლოს ბრძოლაა. აქ მოწინაალმდეგეს დიდი ძალა ჰყავს, რომელიც დონეცის მარცხენა ნაპირზე გადავიდა. ნიჟნე-კუნდრუჩევსკთან ჩვენმა ჯარმა დონეცის მარცხენა ნაპირისაკენ დაიხია. ველიკოკნიაჟის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა.

# ბიბლიოგრაფია

**„შვიდი მნათობი" ყოველ თვიური ჟურნალი № 1, გამოცემა ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირისა. თბილისი. ფასი 25 მანეთი.**

ასეთი დიდი ჟურნალის გამოცემა დღევანდელ პირობებში სასწაულად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც, წარმოუდგენელია თავისუფალი საქართველო კულტურული შემოქმედების სფეროში გზა კვალ აბნეული, უსარკოდ.

# ისტორიული სასწავლებელი

(თბილისის სემინარია)

თბილისის ძველი აკადემიის ნანგრევებზე აღმოცენდა იგი მე-XIX საუკუნის დასაწყისში.

სახე შეცვლილს, გადარუსებულს, მას, საქართველოს ახალ ბატონ-პატრონთა აზრით, ამიერიდგან ხელი უნდა შეეწყო საქართველოს ძველის კულტურის და მწერლობის დამხობის პროცესის დაჩქარებისათვის; იგი უნდა გამხდარიყო მამინაცვლების ხელში უმთავრეს იარაღად საქართველოში ჯერ კიდევ მჟუტავ ეროვნულ სურვილ-მისწრაფების, იმედ-მოლოდინის და ტკბილ ოცნების ჩასაკლავად; მას უნდა მოემზადებინა, სულიერ მოძღვრების და სახალხო მასწავლებელთა სახით, მთელი საჭირო კადრი გადაგვარებულ და ფანატიკოს რუსიფიკატორებისა: ყურმოჭრილ მონებისა და სამშობლოს მოღალატეებისა. ასეთი იყო ფარული, მაგრამ წინასწარ აწონილ დაწონილი, მიზანი პირველ რუსულ სასწავლებლის დაარსებისა და მოწყობისა საქართველოში. ამ მზაკვრულ და სხვაგანაც არა ერთგზით ნაცად მიზნის განხორციელებას ჩვენში სისტემატიურად და დაჟინებით მთელ საუკუნის განმავლობაში გულმოდგინედ ემსახურებოდნენ ჟანდარმები ანაფორაში—რუსი რექტორები, ინსპექტორები და მთელი კორპორაცია მასწავლებლებისა.—ვინაიდგან საქართველოში პირველ ხანებში სემინარია ერთად-ერთი სასწავლებელი იყო, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდნენ, სადაც ობოლ ღარიბნი სარჩოსაც ღებულობდნენ და სადაც, გარდა სასულიერო წოდების შვილებისა, სხვებსაც ჰქონდათ ნება სწავლა მიეღოთ, ამიტომაც იგი ბევრს ახალგაზრდობას იზიდავდა. მართლაც, მალე თბილისის სემინარია შეიქმნა ცენტრად, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ახალგაზდები საქართველოს ყველა კუთხიდგან.

საქართველოს ყოფა-ცხოვრების მიხედვით. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი „კეთილისმყოფელთა მიზანი ბრწყინვალეთ გამართლდებოდა: საქართველოს დედა-ქალაქში გაიჩარხებოდა ნაყოფიერი რუსიფიკატორული შრომა-მუშაობა, თბილისის სემინარიის შეგირდები, მოხიბლულ მოჯადოებულნი რუსულ მეცნიერების და მწერლობის სიძლიერით და ბრწყინვალებით და მოსყიდული ნაწყალობევ საჭმელით და ტანსაცმელით, გახდებოდნენ ცხოვრებაში რუსული სახელმწიფოებრივ იდეების წარმომადგენელნი და მქადაგებელნი. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ამ დროს მთელი საქართველო, პირველი შეხედვით მაინც, მხოლოდ ძილის და აპატიის სამყოფს წარმოადგენდა.

იეზუიტურის მოხერხებით რუსებმა აამუშავეს საქართველოს შვილთა გადასაგვარებლად და გადასაქმნელად ოსტატურად მოწყობილ, აპარატი — სკოლა—ეს უსაშინელესი იარაღი მტრის ხელში უცხოთა ეროვნულ იდეის ჩასაკლავად; დარაზმდნენ რუსის მოხელენი და საოცარის ენერგიით შეუდგნენ საქმეს.

რუსი პედაგოგები თავგამოდებით ცდილობდნენ ქართველ მოწაფეებისათვის შეეძულებინათ სამშობლო, მშობლიური ენა, მწერლობა და ხელოვნება, მოწაფენი კი, პირიქით, უფრო ტკბილად იყვარებდნენ თავის ქვეყანას, მის „ენას, საყდარს, სარწმუნოებას". პირველნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ შეეყვარებინათ ქართველებისათვის „კეთილის მყოფელი რუსეთი; მისი წარმომადგენელნი რუსული ენა, მდიდარი რუსული მწერლობა და მეცნიერება,—მეორენი კი, ბუნებრივის რეაქციის ძალით, სულ წინააღმდეგს გრძნობდნენ და განიცდიდნენ მათს შესახებ. პირველნი ყოველ მხრივ ხელს უშლიდნენ, ზღუდავდნენ შეგირდების განვითარებას.

ყოველივე ხერხს ხმარობდნენ, რომ დახურულ სკოლაში არ შემოეშვებინა რომელიმე ახალს, თავისუფალს და მოწინავე აზრებს და იდეებს,—მეორენი კი შეუდარებელის მოხერხებით და თანაც თავგანწირვით ეწაფებოდნენ საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს, კითხულობდნენ სწორედ იმ მწერლებს და იმ თხზულებესს, რომლებიც ასე სასტიკად იყო აღკრძალული. — პირველთ გადაწყვეტილი ჰქონდათ ქართველი შეგირდობა მთლად მოეწყვიტათ საზოგადოებისაგან, მოეხდინათ სასწავლებლის სრული იზოლიაცია; მეორენი კი, მიუხედავად იმისა, რომ ოთხ კედელში იყვნენ მომწყვდეულნი, მაინც ახერხებდნენ სხვა და სხვა წრეების დაარსებას, საზოგადოებაში გასვლას, მასთან იდიური კავშირის შენახვას, ქართულ წარმოდგენებზე სიარულს და ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობის მიღებას. მათი ღამ-ღამობით ფარულ „მოგზაურობის" მოწმენი დღემდის არიან მაღალნი და ბებერნი კედელნი ძველი სემინარიის შენობის გალავანისა!

შიში და რისხვა, დაამება და დაყუათება, დარიგება და რჩევა, ქადაგება და მხილება, მოსყიდვა და გულის მოგება, გაძევება და სასჯელი, წნელი და მათრახი, კარცერი და საპყრობილე,—ყოველივე ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ ხერხი და ღონე იხმარეს პოლიტიკოს ბერებმა და მასწავლებლებმა ქართველების გადასაქმნელად და გასარყვნელად, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს; მათი ცდა და მეცადინეობა დალეწა და [illegible] ქართველ ახალგაზდობათა მტკიცე და შეურყეველ ეროვნულმა შეგნებამ და მამულისშვილობამ.

შეგირდობის ასეთ ყ[illegible], მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას [illegible] გრძნობდა და აშკარად ხედავდა სემინარიის მთავრობა. მით უფრო გულმოდგინედ ცდილობდნენ ანაფორიან პოლიტიკოსებს სამუდამოდ ჩაექროთ მოწაფეებში ყოველივე ეროვნული გრძნობა და მისწრაფება; სასაცილოდ და სამასხაროდ აეგდოთ მათი წმინდათა-წმინდა —სამშობლო ენა, ქართული მწერლობა, ეკლესია და ხელოვნება და მათ გადაცვლილ გულში გაეღვიძებინათ მამინაცვლისადმი გრძნობა მონურის სიყვარულისა და მორჩილებისა.—ასეთი ბრძოლა გაუნელებლად შეუწყვეტლად მთელ საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა იმ ოთხ მაღალ, მტვრიან და რუხ კედლებს შუა, რომელიც დღესაც გულჩათხრობილად აზიდულა პუშკინის სკვერის წინ. ეს შეჯიბრება ორივე მებრძოლ ბანაკთა შორის იყო შეგნებული, აწონილ-დაწონილი და გათვალისწინებული ყოველივე თავისი ახლო რა შორეულ შედეგებით. ეს ნუ გაგვიკვირდება ქართველ შეგირდების შესახებ: თითქმის ყველა მათგანი იყო სრულ-ასაკოვანი და მომწიფებული (ჩვიდმეტ-თვრამეტ წლიდან ოცდა-ხუთ წლამდე მიღწეული). ამ ნიადაგზე სემინარიის შენობის ჭაღარა კედლებს ახსოვს ბევრი ექცესები, ბევრი აჯანყება-გაფიცვები, ბევრი ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც მებრძოლთა დაუფარავ სულისკვეთების აშკარად გამომსახველნი იყვნენ. ქართველი შეგირდები ცხადად ჰხედავდნენ, რომ რუსიფიკატორებს ჰსურდათ სამუდამოდ დაემარხათ იდეა საქართველოს თავისუფლებისა. მომავალ ქართველ მოღვაწეთა გულში აღმოეფხვრათ ყოველივე პატიოსანი გრძნობა. ამას კი ისინი, ქართველ ერის ფესვებიდან ამონახეთქნი, დაბალ წოდების, ნამდვილ დემოკრატიის და გაღატაკებულ გადემოკრატებულ აზნაურების, შვილნი, მთელის თავის გრძნობა-შეგნებით ეწინაალმდეგებოდნენ და ებრძოდნენ. მრავალი სასტიკი და სერიოზული აჯანყება-გაფიცვები მოუხდენიათ ამ ნიადაგზე სემინარიელებს! მაგრამ მათი აჯანყება-გაფიცვები სრულებით არ წააგავდა რუსულ ბურსაკების, ბევრს შემთხვევაში, „მთვრალ ბუნტაობას": ქართველები ავიჟეულობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას თითქმის ყველა გრძნობდა, მაგრამ... ვერ გადაელახათ თანამედროვე პირობების ზღუდეები.

მიზეზები და საბუთიანიც ბევრი იყო.

ასე რომ, ქართული კულტურული შემოქმედება ამ უკანასკნელ წლებში თითქო არა სჩანდა; სინამდვილეში კი ეს ასე არ უნდა ყოფილიყო.

დღეს ეს სასწაული ფაქტად იქცა.

მთელი საქართველოს კულტურულ ძალებს საშუალება ეძლევათ ამ ჟურნალში ალბეჭდონ თავისი სახე.

მისი შინაარსიანობა ჩვენი ძალთა განწყობილების საზომი იქმნება მომავალში.

ჟურნალის პირველ №-ში მოთავსებულია 6 განყოფილება: სიტყვა კაზმული ლიტერატურა მხატვრობა, მეცნიერება, პოლიტიკა და კოოპერაცია.

ჟურნალი იხსნება ქართულ პოეზიის ჩუქურთმის—გრიშაშვილის „ლოტოსი“ თ. პოემაა. აუარებელი თვალმომჭრელი სახეებითაა მოქარგული, თავისი მოქნილობით შედევრათ უნდა ჩაითვალოს ქართულს პოეზიაში, მაგალითად სახეები: „ყვავილების თეთრ მდინარეს“, „გადაეთროთ ერთმანეთი“, „მზის ყვითელი ამოსუნთქვა“. ან აისის სურათები: „აისი აქვს აღმოსავლეთს“, „ასიმღერდა ფერზე ფერი“. „ცის სივრცეში ფრინველთ წყება ისე იყო გაფანტული: თითქო ღმერთმა წერტილებათ აღნიშნაო თავის თქმული (გამოდის რომ ღმერთის მიერ წერტილებათ ცაზე აღნიშნული თქმულება, გრიშაშვილმა მომხიბლავ დილის სურათების მასალათ გამოიყენა). ბევრი ახალი რითმი აქვს ნახმარი ამ მხრივ გრიშაშვილს ერთობ უნივერსალური საწყობი აქვს, მის ყოველს ახალ ლექსში ახალი სიცხადე სჩანს, ქართული ენა ამ პოეტში აჩუქურთმდა. ის შეუჩერებლათ ადის პოეზიის კვერნაკზე და გაუვალი ბილიკები ამ გზაზე მისთვის ნაირფერი ყვავილებით იფინება. ბელეტრისტიკის განყოფილებაში არის მოთავსებული: ლეო ქიაჩელის: „მკვლელობა კოხტა გორაზე“. უნდა გამოვტყდე, რომ „ტარიელ გოლუას“ ავტორისაგან უფრო მეტ რამეს მოველოდით, მოეთხოვება კიდეც.

ენა მოთხრობის კარგია, სიუჟეტი არა ორიგინალურია, ეს არაფერი. თვით მოთხრობის აღნაგობა არ არის სასურველათ ჩამოქანდაკებული. მაგალითათ, სატრფოს ცახრჩობა, მოთხრობის გმირის მიერ, ისე მკრთალად არის დახატული, ვერც შეამჩნევ, თუ რა მოხდა. ვფიქრობ, ეს მომენტი მოთხრობაში ყველაზე მეტს რესურსებს იძლევა შინაგანი გარდატეხილების ასახისათვის.

ამიტომ მოთხრობა სუსტობს...

ეს იმისათვის შევნიშნე, რომ „ტარიელ გოლუა“ მიდგას თვალწინ.

პ. კაკაბაძე, ახალი მწერალი, დრამატიულ ეტიუდით ეწვია ქართულ ლიტერატურას და უნდა ვთქვა, რომ დებიუტი გამართლებულია.

კალმის სიმარჯვე გამოსჭვივის მის ეტიუდში. იდეა, წითელი ხაზით გადის პირველ სტრიქონიდან ბოლომდე და მისდამი მზრუნველობა არასოდეს არ ავიწყდება.

კარგია თითქმის მთელი მეორე მოქმედების სურათები: მოხუცის გამოსვლა გვირაბიდან, ცოლის მოჩვენება, ანგელოზების მოვლინება, სჩანს მის ეტიუდში. ეს კი, ახლად მოვლინებულ მწერლისათვის დიდი გამარჯვებაა.

ნ. ლორთქიფანიძე „ერთი დრამის ეპილოგი“ ლორთქიფანიძისებური ენითაა დაწერილი (მგონი მის ენას ეს უფრო ახასიათებს).

ფსიხოლოგიურადაც მართალი, მაგრამ ტემა არა ორიგინალურია. ეტყობა ერთნაირი გავლენა კ. გამსუნის და ჯ. ლონდონის.

ნ. ლორთქიფანიძე დიდი ოსტატია ქართული ცხოვრების ასახვაში, და მაკვირვებს, რაზედ გულცივად უვლის ამ შემთხვევაში გვერდს და ჩილიში და ინდოეთში ნავარდობაზე ანელებს თავის მადლიან ნიჭს.

დიდი ლოდინის შემდეგ ს. შანშიაშვილი მოგვევლინა თარგმანით ედ. როსტანის „La princesse Lointaine“ უნდა ითქვას, ქართული ლიტერატურა უღარიბესია თარგმნებით და თუ ევროპიული ლიტერატურას ვიცნობდით—მხოლოდ რუსულ თარგმნების წყალობით. ეს უდიდესი ნაკლია ჩვენი ლიტერატურის.

ამას გრძნობს შანშიაშვილი და მისი თარგმანები ედგარ პოეს, მეტერლინკის, ბალმონტის და სხვების განძია ქართულ თარგმნითი ლიტერატურის სალაროში.

ს. შანშიაშვილისაგან ამდენი დუმილის შემდეგ ორიგინალური რამეს ველით. მის უკანასკნელ ლექსებში: „თეთრი რაინდი“, (პატარა სონეტია)—„ზამბახი“ და სხვებში ერთნაირი სიახლე სჩანს, ამას ვწერ, რადგან ერთ დროს მას პოეტური სიკვდილი უწინასწარმეტყველეს.

ამბობენ, უკანასკნელ დროში უთარგმნია გეთეს „ფაუსტი“. დიდათ საჭიროა, რადგან პოეტური თარგმანი ამ გენიალურ თხზულებისა არ მოგვეპოვება.

ამ მხრივ „La princesse Lointaine“-ის თარგმანი დიდათ საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს.

დავით კაკაბაძის სამხატვრო წერილები დიდათ საინტერესოა. უნდა ითქვას, რომ ამ დარგის შესახებ წერილები ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ნაკლებია და რაც არის ისიც ავტორიტეტობას მოკლებულნი მცირე გამოკლებით.

ძველი საქართველოს ხელოვნება ამის ღირსი არ არის, რომ დარწმუნდეთ შეიარეთ ნახევრათ დანგრეული მონასტრებში, საყდრებში, ციხე-კოშკებში, მეორეს მხრივ, ახალი ხელოვნების აღორძინება წარმოუდგენელია ძველი ქართული ეროვნული ხელოვნების შეუსწავლელათ.

ახალი ხელოვნება უნდა აშენდეს ძველის ხელოვნების პრინციპების საძირკველზე, ამიტომაა დაწვრილებით შესწავლა ხუროთ მოძღვრების, ქანდაკების, მხატვრობის და ოქრო მჭედლობის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ახალ ხელოვანთათვის. და კაკაბაძის წერილები ამ დარგის შესწავლის ცდას წარმოადგენს. სასიამოვნოა. დიდ ყურადღებას იპყრობს მისი გამოკვლევა ჩვენი სახელგანთქმული ოქრო მქანდაკებლების ოპიზარის შესახებ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე მ. ტოროშელიძის „სუბიექტივიზმი და ობიექტივიზმი“. ანემილოვის „ნევროლოგიის სადაო საკითხები“, თარგმანი მ. კოკოჩაშვილის, ი. არსენიძის „პოლიტიკური მიმოხილვა“, გამუქებული ჩვეულებრივ ტენდენციურათ, რაც არ ეგუება ჟურნალის დანიშნულებას, შ. გოგებაშვილის „კოოპერატიული მოძრაობის ისტორიიდან“ და „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“.

არა ჩვეულებრივია ჟურნალის გარეგნული სახე, გამშვენიერებული ლ. გუდიაშვილის და კ. კაკაბაძის მხატვრობით. ამდენი ვინიეტკები, რეპროდუქციები და სურათები ჯერ არ ნახულა ქართულ ჟურნალის ისტორიაში.

დიდი მადლობა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს ასეთი ძნელი და საჭირო საქმის სინამდვილეთ ქცევისთვის.

**არ. გაბუნია.**

## ქართვ. მსახ. ყრილობა

ხუთშაბათს, მაისის 29-ს, გაიხსნა ქართველ მსახიობთა პროფესიონალ კავშირის ყრილობა, რომელიც გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ შ. დადიანმა. [illegible] დამსწრეთა რიცხვის მიხედვით კანონიერად იქმნა ცნობილი, რის შემდეგ ამოირჩიეს ყრილობის თავმჯდომარედ პ. კორიშელი, მის ამხანაგად—ვლ. ამაშუკელი, მდივნად—მიხ. ხერხეულიძე. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მსახიობთა: ა. კავთელის, ვ. შალიკაშვილის, გ. გედევანოვის და ი. ივანიძის ხსოვნას.

ამის შემდეგ ყრილობამ კავშირის წევრებად აირჩია: ნ. გამყრელიძე, ალ. მგალობლიშვილი, სვ. სვიმონიძე, ოლ. ღოღობერიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, ნ. ჩხეიძე, მ. ქორელი, ვ. ჩხიკვაძე, ოლ. ლეჟავა, გ. გურული, ნ. გამრეკელი, აპტალიდი, მ. ხერხეულიძე, ვლ. ფანიაშვილი, ვ. ჯიქია, და ი. გრიშაშვილი.

კრებამ იმსჯელა ნ. ჩხეიძის იუბილეიში მონაწილეობის მიღების შესახებ და დაადგინა: იუბილეზე კავშირის სახელით დასასწრებლად გაგზავნოს ორი მსახიობი, რომელნიც კავშირისაგანვე გადასცემენ საჩუქრად ორი-ათას მანეთს.

კრების გაგრძელება პარასკევისთვის გადაიდო.

## კორესპონდენცია

### სოფ. სართიჭალა

(გარიდ კახეთი)

ჩვენმა სოფელმაც ძლივს გადასდგა კულტურული ნაბიჯი. მეორე წელიწადია რაც აქ კოოპერატიული დუქანი გაიხსნა. ხალხს იმედი ჰქონდა რომ უსაჭიროეს საგნებს ხელ მისაწვდენ ფასებში დაიკვეთამდა, მაგრამ იმედები გაცრუვდა კერძო ვაჭრებში უფრო ნაკლებ ფასებში შეიძლება საქონლის შოვნა ვიდრე ჩვენ კოოპერატივში. შედარებით ჩვენ მეზობელ სოფლების კოოპერატივებში უფრო ნაკლებ შეიძლება სყიდვა ვიდრე ჩვენში, ეს ყველაფერი ხდება ადგილობრივ მღვდლის ი დავითაშვილის წყალობით, რომელიც სათავეში უდგა ამ კოოპერატივს, და თუ შეეკითხებით სიძვერეზე გიპასუხებთ,—მაშ ფული როგორ უნდა მოვიგოთ ან შიგ მშრომლები როგორ უნდა დავაკმაყოფილოთო. მან შეიძლება დიდი ფულიც შესძინოს საზოგადოებას მაგრამ საიდგან, როდესაც წევრთა დაუკიდხავად თავის გემოვნებაზედ თითონვე ინიშნავს ჯამაგირს და უნიშნავს დანარჩენ მსახურთ იმ პატარა თანხიდგან, რომელიც სამას თუმანს არ აღემატება ძირითად თანხას. ამ თანხის მოგებამ უნდა გაისტუმროს მ. დავიდოვის ჯამაგირი თვეში 100 მან. თავის ეკლესიის მნათისა 50 მან., ხაზინადარს 40 მან. ანგარიშის მწარმოებელს 60 მან., კასირს 50 მან., ნოქარს 100 მან. და ნოქრის თანაშემწეს 40 მან. სულ 440 მან. გზის ხარჯები კიდევ სხვა არის, მაშასადამე თუ მოგება იქნება რამე რჩებათ გამგესა და მის დამქაშებს და კოოპერატივის სიძვირე კი ხალხს აწრჩობს, ასევე მოსდის ჩვენ საკრედიტო ამხანაგობასაც, სადაც მეთაურობს იგივე მღვდელი და მისი ეკლესიის მნათე.

**გარე-ხახელი.**

კარებს და ფანჯრებს და შუშებს როდი ამტვრევდნენ, როდი ჰყვიროდნენ და აურ ზაურობდნენ. ჩვენი სემინარიელების „ბუნტები“ ყოველთვის იყო შეგნებული, დინჯი, აზრიანი, იდეური, წინასწარ აწონილ დაწონილი,

მათ ყოველთვის საფუძვლად ედვა იდეა სამშობლო ენის, მწერლობის, ხელოვნების, ადამიანის პიროვნების და რწმენის დაცვა-ქომაგებისა. თავის მოთხოვნილებებს სემინარიელნი ყოველთვის დასაბუთებულ და ვრცელ პეტიციებში გამოსთქვამდნენ და მთავრობას წარუდგენდნენ. და როდესაც ეს უკანასკნელი მათს თხოვნას არ იწყნარებდა და აფუჩეჩებდა, მხოლოდ მაშინ იგინი მწყობრად და ერთსულოვნად გაფიცვებს ახდენდნენ, დარაზმულად იწყებდნენ ბრძოლას. ასეთი იდეიური, შეგნებული, დინჯი გაფიცვები უფრო მეტად აშინებდა და აფიქრიანებდა მთავრობას, ვინემ „ბუნტარული“ ექსცესები რუსეთის სემინარიებისა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ თბილისის სემინარიის უმნიშვნელო უკმაყოფილებაც კი, პეტერბურგის მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა, რასაც მოწმობენ მრავალ კონფედენციალური ცირკულიარები და ბრძანებები, დღემდის დაცულნი სემინარიის მდიდარ არქივში. რუსეთის ფართე საზოგადოებაში კი ლეგენდარული, ზღაპრული ხმები ვრცელდებოდა ქართველ სემინარიელების ვითომც მხეცობაზე, ველურობაზე. ხშირ გაფიცვებს ბუნებრივად მოჰყვებოდა ხოლმე სემინარიელების დარბევა, მათი მასიური უყოფაყოფლოდ დათხოვა, ხშირად დატუსაღება და ციხეებში დამწყვდევა. კერძოთ, რუსეთის არქივებში შეიძლება დღემდის შენახულიყო მრავალ-მეტყველი ფაქტები და ეპიზოდები ქართულ სემინარიის ცხოვრებიდგან: ცნობები ლაღიაშვილის ხანჯალზე, რომელმაც იმსხვერპლა მკაცრი რექტორი ჩუდეცკი. სილ ჯიბლაძის სილა-გარტყმაზე, რომელიც იწვნია ერთმა რექტორთაგანმა იმისთვის, რომ მან უშვერად და ლანძღვით მოიხსენა ქართველობა და ქართული ენა: რამოდენიმე უცნობ ყოფილ სემინარიის შეგირდების რევოლვერებზე, რომელმაც გული გაუგმირა სემინ. ინსპექტორს დოპრონრავოვს, ქართველების სასტიკს მდევნელს და მოძულეს. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელიარიის არქივშიაც ალბად ჩაწერილი იქნება ის ფაქტიც, რომ სემინარიის შეგირდი, იონა მეუნარგია არ წამოუდგა ალექსანდრეს ბაღით თავის ამალით მიმავალს მთავარ მართებელ დუნდუკოვ-კარსაკოვს და სალამი არ მისცა მას. გაბრაზებულ სატრაპის შეკითხვაზე სემინარიელმა უპასუხა: „მე თქვენ პირადად არ გიცნობთ; ისე კი ყველა გამვლელ ღენერალს სრულებით მოვალე არა ვარ წამოუდგე და მივესალმოვო, (სემინარიაში ასეთის რედაქციით იყო დარჩენილი ეს გადმოცემა). „უზრდელი“ მეუნარგია, რასაკვირველია, სამაგალითოდ დაისაჯა!

ყოველივე ის, რაც ხდებოდა სემინარიაში და ის მრავალი ხმებიც—მართალი და ხანდახან გაზვიადებულიც—,რომლებიც ვრცელდებოდა მისი ყოფა-მდგომარეობის შესახებ, რაღაც საიდუმლოებით მოსავდა სასწავლებლის სახეს და მომავალ სემინარიელების—სასულიერო სასწავლებლების შეგირდების—გულში კრძალვა-მოწიწებას და სიყვარულს ბადებდა... სემინარიაში შესვლისთანავე ბოლო ელებოდა მოწაფეების ჩვეულებრივ ცელქობას, ფუქსავატობას, სიზარმაცეს, ინდიფერენტიზმს და უდარდელობას. ყოველი ახალი სემინარიელი, შედგამდა თუ არა ფეხს სასწავლებელში, მოვალედ რაცხდა თავის თავს დადინჯებულიყო, სერიოზულად მოჰკიდებოდა საქმეს, ბეჯითად ემეცადინა, წიგნები და გაზეთები ეკითხა, ერთის სიტყვით, განვითარებულიყო, ქართული მწერლობა გაეცნო და საფუძვლიანად შეესწავლა, ხელთნაწერ ჟურნალებში მონაწილეობა მიეღო და, თუ გარემოება მოითხოვდა. მედგრად შეებრძოლებოდა მთავრობას. ამნაირად სემინარიაში შეუწყვეტლად გაჩაღებული იყო წყნარი, შეგნებული და ენერგიული შრომა-მუშაობა და გონებრივი წრთვნა-ვარჯიშობა. ქუჩაში უმიზეზოდ მოხეტიალე, მოარშიყე-მოლაყბე სემინარიელი თითქმის წარმოუდგენელი იყო. ასეთს სერიოზულ შრომის ატმოსფერაში, კიდევაც რომ ნდომებოდა ვინმეს, ვერ შესძლებდა უაზროდ დრო გაეტარებინა, სამშობლოს ინტერესისთვის ელალატნ, ცოდნით და შეგნებით ამხანაგებს ჩამორჩენოდა, რუსის მთავრობის ყურმოჭრილი მონა გამხდარიყო. ჯეს იქნებოდა სირცხვილი და თავის მოჭრა, და ამხანაგებიც არ აპატიებდნენ დანაშაულს.

ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, მეგრელი, ფშავი, თუში, ხევსური, სვანი აქ, სემინარიაში, ექვსი წლის განმავლობაში ერთმანეთს ეცნობოდნენ, ერთმანეთს იყვარებდნენ, საერთო ეროვნული მისწრაფებით სუნთქავდნენ და სულდგმულობდნენ. სამშობლო ენის და მწერლობის დაცვისათვის იბრძოდნენ და მერე ასე გაერთიანებულნი, ერთმანეთის მცნობნი და მოყვარულნი იფანტებოდნენ მთელს საქართველოში. საქართველოს გაერთიანების იდეიის სანიმუშო ცდა და ილიუსტრაცია სწორედ აქ, თბ. სემინარიაში ხდებოდა.

სემინარიამ,—ამ დაუღალავ შრომა-გამრჯელობის ქარხანა ლაბორატორიამ,—აღზარდა მრავალი წარჩინებული და ცნობილი ქართველი მოღვაწენი: არქეოლოგ-ისტორიკოსნი (დ. ბაქრაძე, ალ. ცაგარელი, ქათალ. პატ. კირიონ მეორე, თედო ჟორდანია დ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი, კორ. კეკელიძე, ს. გორგაძე და სხვ.), მწერალ-ლიტერატორნი (დ. ჭონქაძე, ნ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი, ვ. ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ირ. ევდოშვილი, ია ეკალაძე-ცინცაძე, ალ. ყიფშიძე, გრ. ყიფშიძე, ხომლელი, იონა მეუნარგია და სხვ.) პროფესორ-პედაგოგები (პეტრიაშვილი, იაკ. გოგებაშვილი, იოს. ყიფშიძე, ნ. მცხვერაძე და სხვ.), მქადაგებელნი (ეპ. გაბრიელი და ლეონიდე ქათალიკ.) და პოლიტიკური მოღვაწეები (ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, სილ. ჯიბლაძე, ა. ჩხენკელი, გრ. გიორგაძე, გერ. მახარაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, რ. არსენიძე და სხვ.). ცნობილი ბოლშევიკებიც ფ. მახარაძე და მიხა ცხაკაია სემინარიელნი არიან. უკანასკნელი იყო ხშირად ინიციატორი და მომწყობი სემინარიელების გაფიცვებისა.

უეჭველია, რომ ყველა იქ ჩამოთვლილ პირების და სხვებისაც სამაგალითო შრომის უნარი, სიძულვილი ჩაგვრელებისადმი, თავისუფლების ტრფიალი, ქართველი მშრომელი ხალხის სიყვარული, ქართული ენის და მწერლობის ცოდნა სემინარიის კედლებში ჰქონდათ და აქვთ შეძენილი.

დღესაც განახლებულ განთავისუფლებულ საქართველოს დაწესებულებებში და მომქმედ პარტიებში ყოფილნი სემინარიელნი შრომის და ენერგიის სიმბოლონი არიან; მათ უცვლელად ახასიათებს აგრეთვე საფუძვლიანი ცოდნა ქართულის ენისა და მწერლობისა. ამ პირების დაუხმარებლად და მხურვალე მონაწილეობის მიუღებლად წარმოუდგენელია დღეს მაინც ჯეროვანი განხორციელება საქართველოს დაწესებულებების გაეროვნებისა, კერძოდ ქართული სკოლის განახლება. აი დღეს იურიდიულად ეს სასწავლებელი არ არსებობს; იგი „გარდიცვალა“—გადაკეთდა მერვე ვაჟთა გიმნაზიად.

**იპ. ვართაგავა.**


# ებრაელთა სალოცავის კურთხევა

დაბა საჩხერის ებრაელთა სალოცავის მზრუნველი ე—ი გაბაი ამით აცხადებს რომ მომავალ 2 თიბათვეს დაბა საჩხერეში დანიშნულია ხსენებულ სალოცავის კურთხევა, ამისთვის ვთხოვთ ყველა მოქალაქეთ და რაბინებს დაესწრონ ხსენებულ სალოცავის კურთხევას.

3—2400—2 მზრუნველი კომიტეტი **ხაიმ შათაშვილი**

# ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

**ველიამინოვის ქუჩა № 20.**

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ **დაკლებულ ფასებში.**

## საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—19)


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—სალ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოსბ ს. 30 წ.
ბორჯომში მივა სალ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო სალ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიდან—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა სალ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო სალ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა სალ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საავგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.

საავგარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საავგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში სალ. 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წნორის-წყალამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


**ექიმი**

## ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. დღ. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დილის სალენოიდი და [illegible] ტაკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1

7—92.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის**

## [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

## ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სახსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოთერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—43


სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.